ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3170314

ნომერი: AR1489603

თარიღი : 24.03.2017

გაცემის თარიღი : 27.03.2017

გაცნობის თარიღი : 27.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით მახათაძე პ/ნ 01025005347
- დიდი დიღომი, მ/რ4 კორ.12, ბ.50

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17.03.2017

წლის #AR1487139 განცხადებით მომართა მომართა დავით მახათაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814644 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.034) არსებულ მიწის ნაკვეთზე, დამხმარე ნაგებობის (საწყობის) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814644 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო ფუნქციად - საცხოვრებელი.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი უთითებს, რომ 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებაში გაპარულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნულ აქტში არაა მითითებული, რომ მიწის ნაკვეთის დანიშნულება, სასოფლო სამეურნეოს ნაცვლად უნდა იყოს - არასასოფლო სამეურნეო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბერის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდებით, სამსახურის ძირითად კომპეტენციას მიეკუთვნება: არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, ქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის განხორციელების კოორდინაცია, მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება და დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები. აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის დანიშნულების ცვლილება სცილდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს. რაც შეეხება 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია პირობის სახით მიუთითოს, რომ მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც ნაკვეთის ფუნქციად დაფიქსირებული უნდა იქნეს არასასოფლო–სამეურნეო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში დამატებით დაფიქსირდეს: "მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც ნაკვეთის ფუნქციად დაფიქსირებული უნდა იქნეს არასასოფლო–სამეურნეო" . სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3160434 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7),